პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 253 (9721) | კვირა, 25 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანიდან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 36-ე წლისთავს!

2. გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას!

3. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

4. გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!

არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე!

5. ყველა ქვეყნის მშრომელებო! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის, აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრესიული ძალებისა, რომლებიც ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი! ამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

6. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

7. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ და მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

8. ძმური სალამი გმირ კორეელ ხალხს, რომელმაც დაიცვა თავისი მშობლიური მიწაწყალი ინტერვენტებისაგან და რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მშვიდობისათვის, ეროვნული ერთიანობისათვის!

9. სალამი გერმანიის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მესამე მსოფლიო ომის კერად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯს!

10. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისათვის, იმპერიალისტების სამხედრო პლაცდარმად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ!

11. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

12. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისათვის და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

13. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საფრანგეთის და იტალიის ხალხებს შორის მეგობრობას!

14. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

15. საბჭოთა მეომრებო! გულმოდგინედ აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, აუმჯობესეთ თქვენი საბრძოლო ოსტატობა, დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება!

დიდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

16. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

17. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა! დაუცხრომლად განამტკიცეთ დიდი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობა, განამტკიცეთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება!

18. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უზრუნველყოთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის განხორციელება, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის გადაჭრით ამაღლება! მივაღწიოთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრ აღმავლობას!

19. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მიაღწიეთ ახალ-ახალ წარმატებას მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! იბრძოლეთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დაუცხრომლად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! მიაღწიეთ სოციალისტური მეურნეობის ყველა შესაძლებლობისა და რეზერვების სრულად გამოყენებას! აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

21. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უფრო სწრაფად აშენეთ და ჩააყენეთ მწყობრში ახალი შახტები! იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, აუმჯობესეთ ტექნიკის გამოყენება, შეამცირეთ ქვანახშირის თვითღირებულება! მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

22. ნავთობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობის ახალი საბადოები და აშენეთ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, გააძლიერეთ ნავთობის ჭაბურღილთა ბურღვის ტემპი! გაადიდეთ მაღალი ხარისხის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წარმოება!

23. ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! გაადიდეთ ელექტროენერგიის, ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მოწყობილობის, აგრეთვე მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოება!

24. საბჭოთა მეტალურგებო! აუმჯობესეთ მეტალურგიული და სამთამადნო საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენება, განავითარეთ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია! მიეცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონები!

25. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ახალი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმოება! იბრძოლეთ მაღალი წარმადობის მანქანებითა და იარაღით სოფლის მეურნეობის აღჭურვისათვის! მეტი ტრაქტორი, მანქანა და სათადარიგო ნაწილები სოფლის მეურნეობისათვის!

26. ქიმიის მრეწველობის მუშაკებო! უფრო სწრაფად გაადიდეთ საწარმოთა სიმძლავრენი! უზრუნველყოთ მინერალური სასუქების, მაღალხარისხოვანი საღებავებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების განუწყვეტელი ზრდა ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად!

27. მშენებელო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი საწარმოები, ბინები, სკოლები და საავადმყოფოები! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, უკეთ გამოიყენეთ მექანიზმები! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება და აუმჯობესეთ მისი ხარისხი!

28. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საშენი მასალების წარმოება, აუმჯობესეთ მათი ხარისხი.

29. სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, მთლიანად გამოიყენეთ მექანიზმები! ყოველი ღონისძიებით აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება! მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

30. ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის მუშაკებო! გამოუშვით მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილი, კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანისამოსი, მაგარი და კოხტა ფეხსაცმელი და მაღალი ხარისხის სხვა საქონელი! უზრუნველვყოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობა!

31. სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოვეთ სასურსათო საქონლის წარმოება, დაუცხრომლად აუმჯობესეთ მისი ხარისხი! მეტი ხორცისა და თევზის პროდუქტი, ერბო-კარაქი, შაქარი და სხვა სასურსათო საქონელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის!

32. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, რათა უახლოეს 2-3 წელიწადში სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტების მხრივ და უზრუნველყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა ნედლეულით!

33. კოლმეურნეებო! მიაღწიეთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომ აღმავლობას და აყვავებას! იბრძოლეთ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებისათვის! უფრო აქტიურად დანერგეთ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა და კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესება!

34. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, იბრძოლეთ პირუტყვის სულადობის ზრდის მაღალი ტემპისათვის, გადაჭრით აამაღლეთ მისი პროდუქტიულობა! იბრძოლეთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, უფრო სწრაფად გააჩაღეთ მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა!

35. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! იბრძოლეთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების უკეთ ათვისებისა და მთლიანად გამოყენებისათვის! იბრძოლეთ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდისათვის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებისათვის!

36. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უზრუნველყავით კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების სწრაფი ზრდა! იბრძოლეთ ამ კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდებისათვის, ფართოდ დანერგეთ ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანის მექანიზაცია და მოწინავე აგრონომიული მეთოდები!

37. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! ყოველი ღონისძიებით გააფართოვეთ მოსახლეობის ყოფაცხოვრებითი მომსახურების საწარმოთა ქსელი!

38. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააჩაღეთ საბჭოთა ვაჭრობა, გააუმჯობესეთ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, გააფართოეთ მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი! მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეთ საქონელბრუნვის გეგმა! კულტურულად მოემსახურეთ საბჭოთა მომხმარებელს!

39. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის! გააუმჯობესეთ მოძრავი შემადგენლობის გამოყენება და შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს! უზრუნველყავით ტრანსპორტის ზუსტი მუშაობა ზამთრის პირობებში!

40. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! უფრო სწრაფად გადაზიდეთ ტვირთი სახალხო მეურნეობისათვის! გაადიდეთ ტვირთზიდვის მოცულობა, დაჩქარეთ გემთა ბრუნვა, აუმჯობესეთ ნავსადგურების, ნავმისადგომებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშაობა! განუხრელად შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! სანიმუშოდ მოემზადეთ 1954 წლის ნავიგაციისათვის!

41. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებო! უზრუნველყავით სახალხო მეურნეობისათვის ტვირთის და მოსახლეობისათვის საქონლის შეუფერხებელი გადაზიდვა, აუმჯობესეთ მგზავრთა გადაყვანა! უკეთ გამოიყენეთ საავტომობილო ტრანსპორტი, უზრუნველყავით გზატკეცილების სანიმუშოდ მოვლა-შენახვა!

42. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საშუალებანი! გააუმჯობესეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს მუშაობის ხარისხი! აუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

43. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! დაუცხრომლად გააძლიერეთ პასუხისმგებლობა და აამაღლეთ კულტურა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში! განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, მტკიცედ დაიცავით სოციალისტური კანონიერება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებს.

44. სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება! უფრო გაბედულად გააჩაღეთ მეცნიერული მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა! გააძლიერეთ მეცნიერების როლი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში, გააფართოეთ და გააუმჯობესეთ სპეციალისტების მომზადება!

45. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! ამაღლეთ თქვენი შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი ნაწარმოებნი!

46. სახალხო განათლების მუშაკებო! აუმჯობესეთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი! აღზარდეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

47. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ ჯანმრთელობის დაცვის საქმე, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

48. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

49. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

50. გაუმარჯოს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწესა და რეზერვს!

51. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო დაეუფლეთ მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას! თქვენი თავდადებული შრომით განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება! იყავით მტკიცე და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

52. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დაეუფლეთ ცოდნას! იბრძოლეთ წარმატებებისათვის სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობაში!

53. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

54. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

55. გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

56. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

57. ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ განიხილა საკითხი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამის შესრულება, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა, საყოველთაო-სახალხო საქმეა და ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

პროფკავშირების ცენტრალურ, რეს-პუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებსა და საბჭოებს წინადადება ეძლევათ ფართოდ გააჩაღონ მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების განმარტებისათვის მშრომელებში. ყოველი ღონისძიებით განავითარონ და წარმართონ მუშებისა და მოსამსახურეების შრომითი აღმავლობა და შემოქმედებითი ინიციატივა იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა.

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო და მუშათა კომიტეტები მოვალენი არიან გააჩაღონ მუშებსა, ტრაქტორისტებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის ფართო სოციალისტური შეჯიბრება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, საზოგადოებრივი მეცხოველეობის უსწრაფესი აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის ზრდის ამოცანების გადაჭრისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების დროზე შესრულებისათვის. საჭიროა გაძლიერონ ყურადღება შრომის ნაყოფიერების საკითხებისადმი, ეცადონ, რომ ყველა მექანიზატორი ასრულებდეს გამომუშავების ნორმას, მაღალხარისხიანად იყენებდეს სამანქანო ტექნიკას. საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, გააჩაღონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობა, ყოველი ღონისძიებით განავითარონ და მხარი დაუჭირონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა ინიციატივასა და ძვირფას თაოსნობას, გასწორონ მათი გამოცდილების ფართო პროპაგანდა, იბრძოლონ იმისათვის, რომ წარმოებაში დაინერგოს შრომის მოწინავე მეთოდები და სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევები.

საჭიროა გაძლიერონ ყოველდღიური ზრუნვა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, იბრძოლონ იმისათვის, რომ უთუოდ შესრულდეს საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებებისა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების გეგმები, ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება ინდივიდუალურ მენაშენეებს ნაკვეთების გამოყოფასა და ადგილობრივი საშენი მასალის გამოძებნაში. უნდა მოეწყოს შეუსუსტებელი კონტროლი სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობისადმი და სახალხო მოხმარების ყველა საჭირო საქონლის შეუფერხებელი ვაჭრობის უზრუნველყოფისადმი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობას უშუალოდ საბჭოთა მეურნეობების განყოფილებებში, საველე ბანაკებში, სატრაქტორო ბრიგადებში, სახელოსნოებში.

პროფკავშირთა რესპუბლიკურმა, საოლქო, საგზაო, რაიონულმა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა, პროფკავშირულმა კულტურის სახლებმა, კლუბებმა და ბიბლიოთეკებმა პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ საშეფო საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების კულტურულ დაწესებულებებს კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლაში.

მსუბუქი და კვების, სატყეო და ქაღალდის, მეტალურგიული, ქვანახშირის მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშათა პროფკავშირების ცენტრალური, საოლქო, საგზაო, რაიონული და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლებსაც აქვთ საბჭოთა მეურნეობები და დამხმარე მეურნეობები, მოვალენი არიან მნიშვნელოვნად გააძლიერონ ყურადღება საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების კოლექტივებისადმი.

მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშათა პროფკავშირების ცენტრალურმა, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა, რომლებიც ასრულებენ სოფლის მეურნეობის დაკვეთებს, ფართოდ უნდა გააჩაღონ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის საწარმოების მიერ სოფლის მეურნეობის დაკვეთების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი კონსტრუქციების რაც შეიძლება სწრაფად შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის. უნდა დააწესონ სისტემატური კონტროლი სოფლის მეურნეობის ყველა დაკვეთის დროზე შესრულებისადმი.

რკინიგზის, საავტომობილო ტრანსპორტის, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები მოვალენი არიან უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ტრანსპორტის მუშაკებს შორის სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილი სამრეწველო პროდუქციის დროზე მისატანად.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველთაობრივად უნდა დაუჭირონ მხარი იმ მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და აგრონომების კეთილმობილურ მისწრაფებას, რომლებიც საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუდმივ სამუშაოდ მიდიან სოფელში, რათა პირადი შრომით მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების განხორციელებაში.

საჭიროა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მოაწყონ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების შეფობა მტსების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისადმი, რათა ამ კოლექტივებმა დახმარება გაუწიონ მათ სამანქანო ტექნიკის უკეთ გამოყენების, საუკეთესო ხარატების, ზეინკლებისა და ინჟინრების გამოცდილების მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებისათვის გაზიარების საქმეში. (საკადესი).

პროფკავშირული აქტივი განიხილავს მუშათა საყოფაცხოვრებო საკითხებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ დღეებში გაიმართა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკავშირო პროფსაბჭოს მეთერთმეტე პლენუმის შედეგები. კრებამ აღნიშნა, რომ ჭიათურაში მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. კვლავ ჭიათურდება მუშათა საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა შუქრუთსა და რგანში. ხშირად დაბალია მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის ხარისხი. ცუდად ააშენეს მუშათა სასადილო კოროხნალში და მაღაზია № 11 მაღაროსთან.

ნაკლოვანებანი არსებობს მუშათა საზოგადოებრივი კვების დარგშიც. სასადილოებში ერთფეროვანი და დაბალხარისხოვანი კერძები მზადდება.

აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მოსკოვში



მოსკოვი. მრავალსართულიანი შენობა წითელ კართან.

ფოტო ნ. გრანინოვსკისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ორთაჭალელ კოლმეურნეთათვის

მოსკოვი. (საკ. კორ.). მოსკოვში ორთაჭალელთა დელეგაციის ყოფნის დროს გადაწყდა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. ამ დღეებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო ორთაჭალის კოლმეურნეობას გამოუგზავნის მანქანას ტორფნაშომპალისათვის ქოთნების დასამზადებლად მთელი მოწყობილობით, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს ბოსტნეულის მოსავლიანობას, შეაძლებელს გახდის მის უფრო მალე აღებას.

უახლოეს ხანებში ორთაჭალის კოლმეურნეობა მიიღებს ძროხების ელექტროწველისათვის საჭირო მოწყობილობას, რითაც საგსებით მექანიზებული გახდება მეტად შრომატევადი პროცესი, უზრუნველყოფილ იქნება რძის მაქსიმალური სისუფთავე, მნიშვნელოვანი რაოდენობით განთავისუფლდება მუშახელი.

კოლმეურნეობის ფოსტის ერთი დღე

მოსკოვი. (საკ. კორ.). საბჭოთა ადამიანების ყურადღების ცენტრშია მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. ამაზე ნათლად მოგვითხრობს კოლმეურნეობაში მოსული ფოსტა. სწორედ იმ დღეს, როდესაც სოციალისტური შეჯიბრების გასაფორმებლად და ტიმონინოელთა მუშაობის გამოდგილების გასაცნობად კოლმეურნეობას ეწვია თბილისის გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, კოლმეურნეობის კანტორაში ფოსტალიონმა უამრავი კორესპონდენციები, ჟურნალ-გაზეთები და წერილები მოიტანა. კოლმეურნეობამ გაზეთ „პრავდას“ რედაქციიდან მიიღო პაკეტი — კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნ. ი. პუზანჩიკოვის სტატია გამოქვეყნებული „პრეს-ბიუროს“ მიერ; წერილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან: სოფელ კროტენკიდან (კიროვის ოლქი), სარატოვიდან, სამხედრო ნაწილებიდან, მოსკოვიდან, ბაქოდან, ქალაქ ყუკოვსკიდან (მოსკოვის ოლქი) და სხვა, რომლებშიაც საბჭოთა ადამიანები სთხოვენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს — გაუზიარონ მათი გამოცდილება.

აქტები და ფაქტები

ახმეტის რაიონის სოფელ საკობიანოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას უხეშად ამახინჯებენ, ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებაზე, სცემს შრომადღის ხვედრს, უკმაყოფილებას იწვევს კოლმეურნეთა შორის.

შარშან აქ შრომადღეებზე პური არ გაუნაწილებიათ, რადგან კოლმეურნეობამ მთელი მოსავალი კერძო პირებს მიჰყიდა.

1952 წლის 29 ოქტომბერს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. სეთურმა ხორბლის საშრობის გამგეს ა. ფოცხვერაშვილს მისწერა:

— „გვაეცი კოლწვერების ანგარიშზე აღებულ ფულში ხორბალი შემდეგ პირებს შემდეგი რაოდენობით ყაზარაშვილ შაქროს 1040 კგ., მარკოზაშვილ იაგორას 1040, ბაიდაურ რევაზს 500, ბალღიაშვილ ხვთისოს 500. მიღებაზე მოაწერინე ხელები (!) და აღნიშნული ხორბლის დაკავებას მოვახდენთ განაწილების დროს“. (ტექსტი დაცულია).

საშრობის გამგემ ხორბლის მიღებაზე „ხელები“ კი მოაწერინა, მაგრამ დაკავებით ვეღარავის დაუკავა, ამიტომ 3 ტონაზე მეტი ხორბალი დღესაც პირად ანგარიშზე აწერია. თავმჯდომარე სეთური მას მხოლოდ „საქმის გამოსწორებას“ ჰპირდება.

საუბუხაროდ, ეს გამონაკლისი არ არის. მსგავსი მიწერილობებით გ. სეთურმა საწყობის გამგეს ი. ძოძიშვილს და სხვებს ათ ტონამდე პური გაეცემინა. წელს კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე დადგინეს, რომ შრომადღეზე ავანსად 1,5 კილოგრამი ხორბალი გაიცეს, მაგრამ... საწყობის გამგეს ი. ძოძიშვილს ხელთ აქვს „ნატურალური და ფულადი გაცემის უწყისი“, რომელთაც კოლმეურნეებს ხორბალს უკავებს. ძოძიშვილმა ამ საქმის გამო განმარტა:

— ეს სია გ. სეთურმა ჩამაბარა და მითხრა, კოლმეურნეებს დაუკავე 33.912 მანეთის ხორბალი და მე მომეცი, ანგარიშს მე გავაკეთებო. ამის შესახებ ბუხჰალტერიამ არაფერი იცის.

გ. სეთური გამბედავი კაცია, ყველაფერს ხომ ბუხჰალტერიას არ გააგებინებს? წევრებს ხორბალს დაუკავებს, ბაზარზე გაჰყიდის და ფულს პირადად მოიხეპრს.

მიმდინარე წლის ორ აპრილს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა მოიწყო. დღის წესრიგში იდგა „პირუტყვის ნატურით დავალის აქტების განხილვა და ფორმა № 24-ის შედგენა. ბუხჰალტერმა სხდომას მოახსენა, მეღორეობის ფერმას 33 სული ღორი აკლიაო. გამგეობამ მეღორეობის ფერმის გამგეს მოსე თორღვაშვილს ახსნა-განმარტება მოსთხოვა. სამ აპრილს კვლავ შედგა გამგეობის სხდომა, რომელსაც „საგანგებო“ უწოდეს და მასზე ხელმეორედ განიხილეს ღორების დანაკლისის საკითხი. სხდომაზე დაადგინეს:

„10 ღორი დაეწეროს ფერმის მუშაკებს, ხოლო 21 სული ღორის მდგომარეობა გადადებული იქნას და გარკვევამდე ჩათვლილი იქნენ ძონი (ოცხლად(?) ამ დადგენილების მიხედვით შედგენილი იქნას ფ. № 24“.

ამრიგად, გამგეობის „საგანგებო სხდომამ“ მკვდარი პირუტყვი ცოცხლად ჩათვალა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. სეთურმა ამ საქმეზე ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა დანაკლისი ღორების საკითხი „ახლებურად“ მოგვგარებინა. 30 აპრილს მან და მისმა თანამზრახველებმა აქტში ჩაწერეს: „21 სული ღორი გაყიდულია“! აქვე აღნიშნულია: „3.456 მანეთი სეთურს ჩაბარდა კოლწვერებიდან ნასესხი ფულის დასაფარავად“.

— ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, — ნათქვამია. არც სეთურის ტყუილს აღმოაჩნდა გრძელი ფეხები. თუ სამ აპრილს 21 სული ღორი არსად ჩანდა, 30 აპრილს როგორღა გაჰყიდეს? ამ მაცანის ამოხსნა ძნელი როდია. ღორები გ. სეთურმა და მეღორეობის ფერმის გამგემ თორღვაშვილმა მიითვისეს.

წელს მექანიზმების ფერმაში ათასამდე ფრთა ქათამი და წიწილა მოკვდა. ასე არის აღრიცხული კოლმეურნეობის ბუხჰალტერიაში. ეს აღრიცხვა მოხდენილია ვეტფერშლების ა. თავბერძისა და ი. ცუხრუკაიძის მიერ შედგენილი აქტების მიხედვით. ფაქტებით მტკიცდება, რომ ამ აქტების ნაწილი ყალბია. ერთი მაგალითი, მიმდინარე წლის 15 ივნისს შედგენილია აქტი, „31 მაისიდან 15 ივლისამდე (!) დაიხოცა 260 ფრთა ქათამი“.

ავანსად შეიძლება ფულის გაცემა, პროდუქტების მიღება, მაგრამ ვის გაუგია აქტის ავანსად შედგენა? რა იცოდა ა. თავბერიძემ 15 ივნისიდან 1[illegible] [illegible] მოკვდებოდა-?

ამ [illegible] [illegible] ბგდ მარიან ყაფიჩაშვილსაც დადასტურა. მან თქვა: „ვეტფერშლის მიერ შედგენილი აქტი მე გადავასწორე, რადგან მასში ნაჩვენები იყო დაზიანებულთა მეტი რაოდენობა, ფაქტიურად კი ნაკლები დაიხოცაო“.

საქმე ნათელია, ვეტფერშლები დახოცილად ფაქტიურზე მეტს წერენ, რა ქნან, ქათმის ხორცს ხომ არ შეიძულებენ? ისინი საკობიანოს ქათმის გემოთი ნასიამოვნები არიან.

რახან აქტების სიყალბეზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთიც უნდა ვთქვათ. მიმდინარე წლის მაისის პირველ რიცხვებში მეოთხე ბრიგადას კამეჩი მოუკვდა. ვეტფერშალმა ა. თავბერიძემ აქტი ჩაწერა, „კამეჩი დაიშარხა ტყავ-ლეშიანადო“. გამგეობის სხდომამ სამ ივნისს დაადგინა: „ჩამოეწეროს № 4 ბრიგადაში დაცემული ერთი სული ხარ-კამეჩი — ტყავხორცეულად დამარხული“.

ფაქტიურად მკვდარ კამეჩს ტყავი შემოაცალეს და ისე დამარხეს. კოლმეურნეებმა მალე შეიტყეს, რომ კამეჩის ტყავი უგზო-უკვლოდ გაქრა. მათ დანაშავის ძებნა დაიწყეს. გ. სეთურმა გამოსავალი იპოვნა. 8 აგვისტოს გამოიწერა შემოსავლის ორდერი № 97: „მიღებულია ქ. თელავში მცხოვრებ გარეგან ისმაილოვისაგან № 4 ბრიგადაში დაცემული ხარ-კამეჩის ტყავის ფასი 400 მანეთი“.

თუ კამეჩი ტყავიანად დამარხეს, მაშ სამი თვის შემდეგ ისმაილოვს რომელი ტყავი მიჰყიდეს?

სეთური თავმჯდომარე კაცია. მას ისეთი ორიოდ ცხენი ჰყავს, რომ რაიონში ვერავის ცხენი ვერ შეეჯიბრება. კარგ ცხენს უნაგირიც კარგი უნდა. მეც და ვერ ბრშენდნენ თუ? მიმდინარე წლის 31 ივლისის გამგეობის სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„მოისმინეს: თავმჯდომარის უნაგირის შეძენის შესახებ (სეთური). საჭიროა შეძენილი იქნეს საჯდომი უნაგირი და ამისათვის გამოყოფილი იქნეს საჭირო სახსრები ან პროდუქტები (კარაქი, ყველი და სხვ.).

დაადგინეს: შეძენილი იქნეს უნაგირი, რომლის შეძენაც დაევალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გრ. სეთურს, რისთვისაც გამოეყოს 34 კგ. კარაქი და 50 კგ. ყველი ცხვრის“.

გრ. სეთურმა კოლმეურნეობის წევრთა კრების გვერდის ავლით გამგეობის დადგენილება სისრულეში მოიყვანა. სოფელ დუისში მცხოვრებ ქ. ქავთარაშვილისგან უნაგირი შეიძინა. საფასურად 34 კილოგრამი კარაქი და 50 კილოგრამი ყველი გადაუხადა.

კოლმეურნეობას 160 სული ძროხა ჰყავს. შარშან წველადობის გეგმა მხოლოდ სანახევროდ შესრულეს. მიმდინარე წლის 9 თვეში კი თვითეულ ძროხაზე 210 ლიტრ რძეზე მეტი არ მოეწოიათ. დაბალი წველადობა გამოწვეულია კოლმეურნეობის გამგეობის უხეირო მუშაობით, იმის გამო, რომ პირუტყვისათვის ბინები არა აქვთ. მიმდინარე წლის იანვრიდან მაისამდე 57 ძროხა კოლმეურნეთა გომურებში იმყოფებოდა. მათ მოვლაზე 500 შრომადღე დაიხარჯა, ოვითონ გ. სეთური მეუღლეს მარიამს 6 ძროხის შენახვაში 98 შრომადღე დაუწერეს.

ზამთრის განმავლობაში მოწველილი რძე აღრეცხული არ არის, ნუთუ 6 ძროხიდან ერთი მაინც არ იწველიდა? კოლმეურნე სოლომონ შუდლიფერმა, რომელიც ერთ ძროხას უვლიდა, კოლმეურნეობას 90 ლიტრი რძე ჩაუბარა, თავმჯდომარის მეუღლემ მარიამმა კი 6 ძროხიდან არცერთი ლიტრი რძე არ მიიტანა კოლმეურნეობაში.

პირუტყვის სულადობის გეგმის შესრულებაში ადგილი აქვს თვალთმაქცობას. გასული წლის პირველი იანვრისათვის ცხვრის სულადობის გეგმა შესრულებულად ჩათვალეს, 460 სული ცხვარი ზემო ალვანის კოლმეურნეობისაგან შეიძინეს. მიმდინარე წლის თებერვალში ალვანელებმა ცხვრის ღორებულება მოითხოვეს, სეთურმა მათი გასტუმრება ვერ მოახერხა და „შეძენილი“ ცხვარი უკან დაუბრუნა. ეს ხომ საბჭოურ ფოსტას მოტყუებაა?

საკობიანის კოლმეურნეობაში სხვა დანაშაულობათა ფაქტებიც ბევრია, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. სეთურს პარტიის რაიონული კომიტეტი და რაიონული საბჭოს აღმასკომი ხელს აღარებენ, კოლმეურნეთა სიგნალებს უყურადღებოდ ტოვებენ.

ს. ქოჩლაძე.

ახმეტა, „კომუნისტის“ საკ. კორ.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წყობილების მაღალიერიალურ-ტექნიკური ბაზაა

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საკავშირო მთავრობამ დაიყენეს ამოცანა — უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში მიღწეულ იქნას მოხმარების საგნების სიუხვე და მკვეთრად ამაღლდეს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა. ამ საპატიო ამოცანის გადაჭრაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ ძლიერ აღმავლობას, მის ყოველმხრივ განვითარებას.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ერთმა უახლოეს პერიოდში მთლიანად ან საგსებით უნდა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე, კარაქზე, ყველზე, ბოსტნეულზე, ბოსტნეულზე. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გაანმტკიცდეს კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაძლიერდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ბრძოლა, ხელმძღვანელი როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სრულყოფაში.

I.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელების შედეგად შეიქმნა საკოლმეურნეო წყობილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სახით. მათ დიდესი როლი ითამაშეს კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წარმოადგენენ დიდ სამეურნეო-ორგანიზაციულ ცენტრებს, საყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. ინი. თავს უყრიან სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საწარმოო იარაღებს, სისტემატურ საწარმოო დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს, ნერგავენ უახლეს ტექნიკას სოფლის მეურნეობაში, ამაღლებენ კოლმეურნეთა ტექნიკურ-კულტურულ დონეს, დიდად უწყობენ ხელს საწარმოო ძალთა განვითარებას და გადამწყვეტ როლს ასრულებენ საკოლმეურნეო წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებაში.

ამავე დროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, რომელთა საშუალებით ხორციელდება ინდუსტრიის გარდამქმნელი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ, წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საშუალებას მუშათა კლასისა და კოლმეურნეების ურღვევი კავშირის განსამტკიცებლად. ეს კავშირი სოციალისტური საზოგადოების საფუძველი და მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სოციალისტურმა სახელმწიფომ პირველხარისხოვანი ტექნიკა ჩააყენა მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამსახურში. ამჟამად საბჭოთა კავშირში 94 ათასი გამსხვილებული კოლმეურნეობა და 9 ათასამდე მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, რომლებიც აერთიანებენ თითქმის ერთ მილიონამდე ტრაქტორს (15-ძალიანზე გადაყვანით), ანუ 74 პროცენტით მეტს, ვიდრე ომამდე. 255 ათას მარცვლეულის კომბაინს ანუ 66 პროცენტით მეტს ვიდრე 1940 წელს იყო. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების განკარგულებაშია ტრაქტორზე მისაბმელი რამდენიმე მილიონი სხვადასხვა სახის იარაღი. მაშასადამე, საკოლმეურნეო წარმოება, მისი საზოგადოებრივი მეურნეობა გადაყვანილია ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ინდუსტრიული ტექნიკის გამოყენების შედეგად სოციალისტური სოფლის მეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მაგალითად, საკმარისია აღინიშნოს, რომ 1952 წელს საბჭოთა კავშირში მარცვლეულის წარმოებამ, რომელიც სოფლის მეურნეობის ძირითადი, წამყვანი დარგია, 8 მილიარდი ფუთი შეადგინა და ამით მარცვლეულის პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრა. მაგრამ მშრომელთა მუდმივად მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება, ქალაქის მოსახლეობის ზრდა დიდ ამოცანებს აყენებს სოციალისტური სოფლის მეურნეობის წინაშე.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ახლანდელი დონე არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გაზრდილ ტექნიკურ აღჭურვილობას და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა შეიცავს. მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და რაიონებში დაბალია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მეცხოველეობის განვითარების მხრივ. სოფლის მეურნეობაში დიდ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე სერიოზული ჩამორჩენა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის გამო ფერხდება შემდგომი განვითარება მსუბუქი და კვების მრეწველობისა, რომლის დანიშნულებაა მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სოფლის მეურნეობაში მთელი რიგი დარგების მნიშვნელოვანი ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმ მძლავრი ტექნიკის სრულიად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, რომლითაც სოციალისტურმა სახელმწიფომ აღჭურვა სოფლის მეურნეობა. ამასთან ერთად სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დაუმთავრებელია მინდვრის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. კოლმეურნეობებში დაბალია შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე, განსაკუთრებით კარტოფილის წარმოებასა და მეცხოველეობის ფერმებში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძლავრი, ტექნიკურად სრულყოფილი მძიმე ინდუსტრია და მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კოლმეურნეობები, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ამ ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. სოფლის მეურნეობაში საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება, მეცხოველეობაში ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, კარტოფილისა და ბოლჩეული კულტურების წარმოების ზრდა, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება, ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის შრომის დანახარჯების შემცირება უპირველეს ყოვლისა მოითხოვს კოლმეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში მექანიზაციის გაძლიერებას.

საბჭოთა სახელმწიფო სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების მიზნით 1954 წლიდან 1957 წლის პირველ მაისამდე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამსახურში ჩააყენებს საერთო დანიშნულების სულ მცირე 500 ათას ტრაქტორს (15-ძალიანზე გადაყვანით), 250 ათას ფიზიკურ სათოხნ ტრაქტორს და მრავალ სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, ამის შედეგად საერთო ტრაქტორო პარკის სიმძლავრე საბჭოთა კავშირში ახლანდელ პერიოდთან შედარებით 75 პროცენტით გაიზრდება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი როლი ენიჭება ელექტროენერგიის გამოყენებას. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა შემდგომი გაფართოება უნდა ხდებოდეს არსებული ელექტროსადგურების ელექტროენერგიის უკეთ გამოყენების მიზნით, სამრეწველო ელექტროსისტემებთან მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთების გზით, აგრეთვე ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის გზით.

II.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი პირობაა მათში მუდმივი კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრების შექმნა, რომელთაც უნარი ექნებათ ყველაზე სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და ამით უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს უკანასკნელ დრომდე, სხვა სოციალისტური საწარმოებისაგან განსხვავებით, არა ჰყავდათ მუდმივი მუშათა კადრები. სასოფლო-სამეურნეო პირველხარისხოვანი მსხვილი ტექნიკა მოძრაობაში მოჰყავდათ დროებითს მუშაკებს, რომლებსაც კოლმეურნეობები მინდვრის სამუშაოთა პერიოდში გამოჰყოფდნენ. ეს შეადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არადამაკმაყოფილებლად გამოყენების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს. პარტიის პლენუმის გადაწყვეტილებით მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურებში ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშემწეები, ექსკავატორების მემანქანეები და მათი თანაშემწეები, საწვავის ჩამსხმელ-აღმრიცხველები მუდმივი მუშები არიან და მტს-ის შტატში უნდა ჩაირიცხონ, ხოლო მისაბმელ სასოფლო-სამეურნეო და მიწისმთხრელ მანქანებზე მომუშავენი, კომბაინერთა თანაშემწეები მტს-ის შტატში უნდა ჩაირიცხონ როგორც სეზონური მუშები.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორისტებისა და სხვა მექანიზატორებისათვის მატერიალური კეთილდღეობ

შეფის წყალობით...

სექტემბრის დილაა. „საქტექსტილტორგის“ ქუთაისის ბაზის მმართველი გერონტი ჯინჯიხაძე ის იყო სამუშაოზე მივიდა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტში გამოიძახეს.

— ამხანაგო ჯინჯიხაძე! აზრია გადაგიყვანოთ „საქობუვსბიტის“ ქუთაისის ბაზის მმართველად. რას იტყვით?

— არავითარ შემთხვევაში! — კატეგორიული უარი განაცხადა გერონტიმ.

— პირობები იგივე გექნებათ. რატომ ამბობთ უარს?

— მომხსენით და იქ მაინც არ წავალ სამუშაოდ! — ჯიუტობდა ჯინჯიხაძე და თან ფიქრობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, არ შელეოდა „თბილ ადგილს“.

— მოადგილედ მაინც დამტოვეთ, — ერთგვარ „დათმობაზე“ წავიდა გერონტი.

მას არც ამ ფანდმა უშველა და უდანაშაულოდ დასჯილის გამომეტყველებით გამოვიდა საქალაქო კომიტეტიდან.

„უკან არ დაიხიო გერონტი, არ შედრკე, შენი მეგობარი უშუალო ხელმძღვანელი შალვა ალექსანდროვიჩი ხომ ადგილზეა, ყველაფერი რიგზე იქნება,“ — ჩასჩურჩულებდა მას იდუმალი ხმა.

25 სექტემბრის საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომა იყო მოწვეული. გ. ჯინჯიხაძეს სხდომამდე სთხოვდნენ საქალაქო კომიტეტში, მაგრამ იგი არ გამოცხადებულა. საქალაქო კომიტეტში მისვლის საცვლად, მან ტელეფონით თბილისში „საქტექსტილტორგის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი შალვა რუხაძე გამოიძახა:

— შალვა ალექსანდროვიჩს გაუმარჯოს! გერონტი გაწუხებთ ქუთაისიდან. მიშველეთ პატივცემულო ალექსანდროვიჩ, სხვაგან გადაყვანას მიპირებენ, აუცილებლად საჭიროა თქვენი ჩამოსვლა...

მართლაც მეორე დღეს, დილით, რუხაძე ქუთაისში გაჩნდა.

— შემთხვევით გავიგე ამხანაგ ჯინჯიხაძის სხვაგან გადაყვანის ამბავი. გთხოვთ დაგვტოვოთ, უნარიანი და ინიციატივიანი მუშაკია... და შეფს არაფერი დაუკლია, რათა ცამდე აეყვანა მეგობარი.

საქალაქო კომიტეტში ამჯერადაც არ შეცვალეს მოსაზრება. ძმაკაცებს იმედი გაუცრუვდათ. შ. რუხაძე სხვა გამოსავალზე ფიქრობდა...

— კაცი არ ვიყო, თუ ჩვენს ორგანიზაციას მოგაშორო! — ესაუბრებოდა რესტორან „განთიადში“ შალვა ალექსანდროვიჩი გერონტის. აქ სექციონერ ვლ. ფხაკაძესთან ერთად კარგად შექეიფიანდნენ მეგობრები. იმ საღამოსვე შ. რუხაძე სოფელში გაეგზავრა. ერთი დღის შემდეგ გ. ჯინჯიხაძე და ვ. ფხაკაძე მანქანით ეახლნენ შალვა ალექსანდროვიჩს და ქუთაისში მიიპატიჟეს.

ამჯერად ვ. ფხაკაძის სახლში გაიმართა შეხვედრა. მრავალი სადღეგრძელო ითქვა იმ მეგობრული სიყვარულისა და ურთიერთობის შესახებ, რითაც შალვა ალექსანდროვიჩი და გერონტი ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული.

გამომშვიდობებისას შეფმა მხარზე დაჰკრა ხელი გერონტის და დააიმედა: ნუ გეშინია, ყველაფერს გავაკეთებ შენი გულისთვისო.

„საქტექსტილტორგის“ ქუთაისის ბაზის მმართველის პოსტზე საქალაქო კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა კომუნისტ შ. ხაჭაპურიძეს, ხოლო გ. ჯინჯიხაძეს, გარდა „საქობუვსბიტის“ ქუთაისის ბაზის მმართველის პოსტისა, შესთავაზეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეობა სამეურნეო დარგში, ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორობა... უკანასკნელად კი — „გლავტორგადეედის“ საფირმო მაღაზიის დირექტორობა, მაგრამ...

გ. ჯინჯიხაძე არსად არ წავა „ტექსტილტორგის“ ქუთაისის ბაზიდან! ამას თავისი მიზეზი აქვს. ამბობენ ერთი და იგივე ასორტიმენტის სხვადასხვა არტიკულის ქსოვილებს, რომლებსაც განსხვავებული ფასი აქვს, უმაღლესი ფასით ყიდდნენ რაიონში, ხოლო ისეთი ქსოვილი, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა, ბაზიდან არ გავა, თუ მაღაზიის გამგეებიდან „გასამრჯელო“ არ მიიღესო.

გერონტი ელის შალვა ალექსანდროვიჩის წყალობას და აი კიდეც მიიღო...

თბილისში დასამტკიცებლად ჩასული შ. ხაჭაპურიძე „საქტექსტილტორგის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა შ. რუხაძემ უარით გამოისტუმრა.

ვინ არის გ. ჯინჯიხაძე, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს რუხაძე? ეს ის ჯინჯიხაძეა, რომელმაც 1941 წელს, როცა იგი „საქპურტრესტში“ მგეგმავეკონომისტად მუშაობდა, სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 319 კილოგრამი პურის ფქვილის გატაცებაში, რისთვისაც მისჯილი ჰქონდა 2 წლით პატიმრობა...

შ. რუხაძე წინათაც მფარველობდა გერონტის. მარშან სექტემბერში პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გ. ჯინჯიხაძე და მისი მოადგილე ბ. თოდუა სამუშაოდან მოხსნა და პარტიული სასჯელი დაადო სამუშაო საათებში ღვინის სმისათვის. საბოლოოდ, მოხსნილი მხოლოდ ბ. თოდუა აღმოჩნდა, გ. ჯინჯიხაძე კი თავის ადგილზე დარჩა. ამბობენ, შარშანაც ჩამოვიდა რუხაძე და ძმაკაცი იხსნაო.

...„ამ ქვეყნად
შეფი რომ არა ჰყავდეს, —
იგი სულ უცებ
გადაშენდება!“

ეს სტრიქონები გერონტისა და მის მსგავს ადამიანებზეა ზედგამოჭრილი.

გ. მეფისაშვილი.

„სამშობლო მხარის სიმღერები“

ასეთი სახელწოდებით თბილისის კინოთეატრებში უჩვენებენ ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „მოსფილმის“ მიერ გადაღებულ ახალ ფერად მხატვრულ ფილმს.

ფილმი წარმოადგენს რუსული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების კონცერტს. მასში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ანსამბლები: ჩრდილოეთის სიმღერის რუსული სახელმწიფო სახალხო გუნდი, ნ. ოსიპოვის სახელობის რუსული სახალხო სახელმწიფოს სახალხო ორკესტრი, ვორონეჟის რუსული სახალხო გუნდი, ომსკის რუსული სახალხო გუნდი, რომელმაც პრემია მიიღო ბუჭარესტში დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული სახალხო გუნდი, საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია ბ. ალექსანდროვი.

გარდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისა, ფილმში მონაწილეობენ სსრ კავშირის მოსკოვის დიდი თეატრის გამოჩენილი სოლისტები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. მიხაილოვი, რსფსრ სახალხო არტისტი მ. მაქსაკოვა, ახალგაზრდა მომღერალი ა. ოგნევცევი.

ფილმში შეტანილია სიმღერისა და ცეკვის კომპოზიცია „ახალგაზრდული“, რომელსაც ასრულებს მოსკოვის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“.

სურათზე: კადრი ფილმიდან „სამშობლო მხარის სიმღერები“.

ბორჯომის ხეობა ეკრანზე

თბილისის ლენინის ორდენოსანმა კინოსტუდიამ ამ დღეებში ეკრანზე გამოუშვა ახალი ფერადი კინონარკვევი „ბორჯომის ხეობა“. იგი ყურადღებას იქცევს რეჟისორული გაზრებით, ერთიანი სიუჟეტური აღნაგობით, კადრების სწორი შერჩევითა და ფერების უნარიანი შეხამებით. ფილმი მაყურებელს ნათელ წარმოდგენას აძლევს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის—ბორჯომის ხეობის თვალწარმტაც ბუნებაზე, მის ჯანმრთელობის კერებზე.

„ეს ერთ-ერთი უშესანიშნავესი ადგილია, რაც კი ოდესმე მინახავს. აქ ყველაფერი ისე კარგია, რომ ბორჯომი პირდაპირ შემიყვარდა“, — წერდა დიდი რუსი კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი. თითქოს ამ ნათქვამის საილუსტრაციოდ ეკრანზე მოჩანს მარადმწვანე ტყეებში ჩამჯდარი ლამაზი, ახალაშენებული ბორჯომი, თავისი აწკარა წყაროებით, მოჩუხჩუხე ნაკადულებით, რძისფერი ჩანჩქერებით. მაყურებელი ხედავს მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანას, მის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას ყოველწლიურად აწვდიან 35 მილიონამდე ლიტრ ნახშირმჟავა წყალს.

თანმიმდევრულად ნაჩვენებია ბორჯომის ხეობის კურორტების — წალვერის, ცემის, ბაკურიანის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. მაყურებელი ინტერესით ეცნობა დამსვენებელთა ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს, ექსკურსიებს, მოგზაურობას ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად, ადგილობრივი ბუნებრივი პირობების შესასწავლად.

„ბორჯომის ხეობაში“ ბევრი საინტერესო და მიმზიდველი კადრია. გემოვნებით არის შეზავებული ფერები, თვითეულ ეპიზოდში ჩანს ფაქიზი გემოვნება და ოსტატური ზომიერება. კინოოპერატორების ბ. კრებსისა და ა. სემიონოვის ნამუშევარი მაყურებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს. სასიამოვნოდ ყოერს და კადრების შინაარსს კარგად ეხმიანება კომპოზიტორ ა. შავერზაშვილის მუსიკა. რეჟისორმა შ. ჩაგუნავამ ფილმში გამოავლინა რეჟისორული გააზრებისა და განხორციელების სერიოზული უნარი. ვ. კარსანიძეს კარგად შეუდგენია ფილმის სცენარი და სადიქტორო ტექსტი.

წიგნის თაროზე

ნ. ნეკრასოვი — „რუსი ქალები“, საბლიტგამი, 1953 წელი, თბილისი, გვ. 80, ფასი 2 მან. 60 კაპ.

წიგნში მოთავსებული პოემა „თავად ტრუბეცკოის მეუღლე“ თარგმნილია პოეტ ვ. გაბესკირიას მიერ, ხოლო „თავადის მეუღლე მ. ნ. ვოლკონსკაია“ პოეტ ვ. გოროგაძის მიერ. რედაქცია და ბოლოსიტყვაობა ეკუთვნის პოეტ ა. აბაშელს.

ხე-ტყე კოლმეურნეობებს

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რკინიგზის სადგურში სავაჭრო ორგანიზაციებს მოწყობილი აქვთ ხე-ტყის საწყობები. აქედან დიდძალ მასალას იძენენ თელავის, ყვარლის, გურჯაანისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობები.

„გლავლესოსბიტის“ თელავის საწყობმა წელს 2.000 კუბური მეტრი წიფლის ფიცარი მიჰყიდა კოლმეურნეობებს. საქსოფლმომარაგების თელავის განყოფილებიდან 1.816 კუბური მეტრა ფიჭვის მასალა შეიძინეს კოლმეურნეობებმა.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემა

საუბარი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთან სტალინური პრემიის ლაურეატ ო. ბ. ლეპეშინსკაიასთან

— ჩვენს ქვეყანაში, — ამბობს ო. ბ. ლებეშინსკაია, — შექმნილია ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ხელშემწყობი ყველა პირობა. ჩვენში ყველა ღონისძიებით ისპობა ნაადრევი სიბერის გამომწვევი მიზეზები. საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია იქითკენ მიისწრაფვიან, რომ ადამიანის ცხოვრება და შრომა ჯანსაღ პირობებში მიმდინარეობდეს; მეცნიერებს შემოქმედების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვთ. სამედიცინო მეცნიერების ყოველი ახალი გამარჯვება ომას მოასწავებს, რომ მეცადინეობა ეკმისა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას, დღეს უფრო მძლავრი აღმოჩნდება, ვიდრე გუშინ იყო, რომ მოხერხდება ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი მოქალაქის სიცოცხლის შენარჩუნება და გახანგრძლივება.

საბჭოთა კავშირი მრავალ წელს გამძლე ადამიანთა რიცხვით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. უაღრესად საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები ცალკეული ქვეყნების შესახებ. 1926 წლის აღწერის თანახმად სსრ კავშირში რეგისტრირებული იყო 100 წლისა და მეტი ხნის 39 ათასზე მეტი ადამიანი, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში, მაშინდელი სტატისტიკის მონაცემებით, მათი რიცხვი გაცილებით დაბალია. მაგალითად, გერმანიაში 100 წლის და მეტი ხნის ადამიანი იყო 86, შვეიცარიაში — 58, იტალიაში — 51, ნორვეგიაში — 35.

ამჟამად, დაზუსტებული ცნობებით, მრავალ წელს გამძლე ადამიანთა რიცხვი 1926 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის სოციალური ზრუნვის უპირატესობას კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წყობილების წინაშე.

აზერბაიჯანში, კოლმეურნეობა „კომკავშირელში“ მერგოლურად მუშაობს მამუდ ეიგაზოვი, გოგირის სასოფლო საბჭოს დეპუტატი. მ. ეიგაზოვი ახლა 143 წლისაა, მისი ცოლი სურა — 120 წლისა, შვილი დალა — 107 წლისა, სულ კი მას შვილები, შვილიშვილები, შვილიშვილის შვილები და შვილიშვილის შვილიშვილები 118 ჰყავს. შვილიშვილის შვილი ჯემალი საბჭოთა კავშირის გმირია.

სტავროპოლის მხარეში, ალექსანდროვსკაიას რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში ცხოვრობდა ვასილ სერგის-ძე ტიშკინი, დაბადებული 1803 წელს. მას ცოლად ჰყავდა პელაგია ლუკას ასული, დაბადებული 1853 წელს; 1949 წელს პელაგია 96 წლისა იყო. ტიშკინი პელაგია ლუკას ასულთან შეუღლებული 82 წელიწადს ცხოვრობდა. იგი კოლმეურნეობაში კასრის მკეთებლად მუშაობდა და 1949 წელს 256 ბრომადღე გამომუშავა. ვ. ს. ტიშკინი გარდაიცვალა 1951 წელს, 148 წლისა.

მსოფლიოში ალბათ ყველაზე დიდი ხნის ადამიანი იყო ოსიის ქალი ტაპსე აბზავე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა 180 წლის ასაკში. ხანგრძლივი სიცოცხლის მსგავსი მაგალითი კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგრამ რა საინტერესოც უნდა იყოს ხანგრძლივი სიცოცხლის ეს ფენომენალური მაგალითები, ისინი მაინც ერთეული მაგალითებია.

მაინც რატომ არის, რომ ადამიანთა უმრავლესობა არათუ 100 წელს, არამედ გაცილებით უფრო ადრე ასაკსაც ვერ აღწევს?

ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის მიზეზები რომ გავიგოთ, საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ ეს მოვლენები, ღრმად გავიგოთ ისინი ბიოლოგიისა და მედიცინის უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე. ცდილობდა რა შეესწავლა სიბერისა და სიკვდილის ბუნება, ზოგიერთი მეცნიერი დიდ შეცდომას უშვებდა და ყურადღებას აქცევდა სიბერით გამოწვეულ მხოლოდ ამა თუ იმ ცვლილებას, განიხილავდა მას მთელი ორგანიზმისაგან მოწყვეტილად.

მაგალითად, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების შესწავლის დარგში ბიოლოგიის წარმატებებთან დაკავშირებით ბევრი მეცნიერი ცდილობდა სიბერე აეხსნა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების შესუსტებით ან მოშლით. წინადადებას იძლეოდნენ, კერძოდ, „გაახალგაზრდავების“ მიზნით დაჩაჩანაკებული ადამიანის ორგანიზმში შეეყვანათ ცხოველთა სათესლე ჯირკვლების ამონაწური.

ამჟამად ზუსტად არის გამორკვეული, რომ „გაახალგაზრდავების“ ყველა ოპერაცია იძლევა ცალმხრივ და ხანმოკლე ეფექტს, რაც ორგანიზმს ძვირად უჯდება. ორგანიზმის მოქმედების ხანმოკლე გამოცოცხლებას ჩვეულებრივად მოყდეს მისი სწრაფი და საბოლოო გამოფიტვა და დაჩაჩანაკება.

ამ ბოლო დრომდე ექიმები იმ აზრისა იყვნენ, რომ დაბერების პროცესის მიზეზია არტერიოსკლეროზი — სისხლძარღვების კედლების გადაგვარება და ზედ კირის მარილების დალექვა, რის გამო სისხლძარღვები ელასტიკურობას კარგავენ. მაგრამ გამოკვლევებით ეს თვალსაზრისიც გაბათილდა.

სიბერის მთლიანი და სრული თეორიები, რომლებიც განსხვავდებიან როგორც შესასწავლ მოვლენათა წრის სიფართოვით, ისე მწყობრი და თანმიმდევრული მეცნიერული კონცეპციით, შექმნეს ი. ი. მეჩნიკოვმა და ი. პ. პავლოვმა. მეჩნიკოვის მიხედვით, ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ფიზიოლოგიური, კანონზომიერი სიბერე. რომელიც დგება ბუნებრივი განვითარების შედეგად, და ნაადრევი სიბერე, რომელიც გამოწვეულია ორგანიზმზე სხვადასხვა ინფექციურ აგადმყოფობათა, ტრავმებისა და სხვ. ზემოქმედებით. მეცნიერების ამოცანაა ებრძოლოს ნაადრევ სიბერესა და სიკვდილს.

სასიცოცხლო მოქმედების პროცესში ადამიანის ორგანიზმი განიცდის ქრონიკულ თვითმოწამლვას, რაც არღვევს ქსოვილთა მოქმედებას და იწვევს ორგანიზმის ნაადრევად დაბერებას. თვითმოწამლვა ძირითადად გამოწვეულია ისით, რომ ორგანიზმში გროვდება ნივთიერებათა ცვლის შხამიანი პროდუქტები. სიბერის პროცესში მეჩნიკოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ორგანიზმის თვითმოწამლვას მსხვილი ნაწლავიდან შესული შხამიანი ნივთიერებებით.

ამ ფაქტზე დაყრდნობით, მეჩნიკოვი წინადადებას იძლეოდა, რომ საჭმელთან ერთად ადამიანი იღებდეს რძემჟავა დღეღამის პროდუქტებს — მაწონს, კეფირს და სხვ., რომლებიც შეიცავენ რძის მჟავას. რძის მჟავა დამღუპველად მოქმედებს ნაწლავებში ლპობის ბაქტერიებზე და ამით რამდენადმე იცავს ადამიანის ორგანიზმის მოწამლვას ნაწლავთა შხამებით.

ამ თეორიის ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, მეჩნიკოვს ეკუთვნის პირველი აღმოჩენა ანტიბიოტიკური საშუალებათა გამოყენებაში (ანტიბიოტიკები — ქიმიური ნივთიერებანი, რომლებსაც მიკროორგანიზმები ქმნიან და რომლებსაც უნარი აქვთ შეაჩერონ ბაქტერიებისა და სხვა მიკრობების ზრდა და კიდევაც დახოცონ ისინი).

ი. პ. პავლოვის მოძღვრების თანახმად, ორგანიზმი ჯანსაღია, თუ ნერვული სისტემა — როგორც ცენტრალური, ისე პერიფერიული — ნორმალურად მოქმედებს და თავისი რეგულატორული გავლენით უზრუნველყოფს ორგანიზმის მთელ მუშაობას, მათ შორის ქსოვილთა და უჯრედშიდა ცვლის პროცესებს.

ნერვული სისტემის მარეგულირებელი, მაკოორდინირებელი და ტროფიკული (ტროფოსი — კვება) ფუნქციების დარღვევამ გარდუვალად უნდა მოახდინოს გავლენა ორგანიზმზე, გამოიწვიოს მისი გადასვლა ნორმალური მდგომარეობიდან ავადმყოფურ მდგომარეობაში. მაშასადამე, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების ქრონიკული დარღვევა გარდუვალად იწვევს ორგანიზმის ნაადრევად დაბერებას.

თუ თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ფუნქციონალურად შესუსტებული ქერქი ნაადრევი დაბერების მთავარი მაზეზია, მაშინ ბუნებრივად გამოდის დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ აეცილოთ ეს ნაადრევი დაბერება. ყოველი ღონისძიებით უნდა დავიცვათ და დავზოგოთ ჩვენი ნერვული სისტემა ზედმეტი აგზნებისაგან, დაქანცვისაგან, სწორად უნდა მოვაწყოთ შრომა და დასვენება. ადამიანის მუშაობის უნარიანი, ნორმალური ნერვული სისტემა მისი ჯანმრთელობის საწინდარია.

ის ლაბორატორია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დიდი ხანია მუშაობს სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემებზე. ამან შესაძლებლობა მოგვცა მივსულიყავით ზოგიერთ დასკვნამდე. დაბერების საკითხების შესწავლისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ფაქტორი, რომლებიც იწვევს ნაადრევ სიბერეს, სახელდობრ: ფუნქციონალურად შესუსტებული ნერვული სისტემის გავლენა, ორგანიზმის თვითმოწამლვა, არარაციონალური კვება, თამბაქოს წევა, ალკოჰოლიზმი, ინფექციური ავადმყოფობანი და სხვა. მაგრამ დაბერების არსი, რითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, მდგომარეობს, ჩვენი წარმოდგენით, ცილების გამკვრივებაში, მათს დაბერებაში და იმაში, რომ ასაკის მიხედვით ცვლილება ამცირებს ნივთიერებათა ცვლას, იწვევს ყველა ორგანიზმის ყველა ორგანოსა და ქსოვილის და პირველ რიგში ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევას.

მრავალი ცდის საფუძველზე მოხერხდა იმის დამტკიცება, რომ ცილა ნაწილაკების დისპერსიულობის, ე. ი. მათი დაქუცმაცებულობის გაძლიერების, ნივთიერებათა ცვლის გაძლიერებას და, მაშასადამე, ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას შეიძლება მივაღწიოთ ორგანიზმზე სოდის ხსნარების მოქმედებით.

სოდის აბაზანების მოქმედების შედეგად ადამიანი თავს კარგად გრძნობს, ორგანიზმში ძლიერდება ნივთიერებათა ცვლა. უეჭველია, სოდის აბაზანების როგორც ორგანიზმის საერთო ტონუსის ამაღლების საშუალების მასობრივი გამოყენება მოითხოვს სათანადო შემოწმებას პრაქტიკით და შემდგომ თეორიულ გამოკვლევას იმისათვის, რომ კიდევ უფრო ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ, თუ რა გზით ახდენენ სოდის ხსნარები გავლენას ორგანიზმში ცვლის პროცესებზე, კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ ეს მოვლენები.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ღონისძიებანი სიბერის პროფილაქტიკისა და მისი მკურნალობისათვის. თავისთავად იულისხმება, რომ ჩემს მიერ წამოყენებული წინადადება სოდის აბაზანების, როგორც ორგანიზმზე სამკურნალო გავლენის მქონე საშუალების გამოყენების შესახებ, არ შეიძლება მივიჩიოთ რაღაც ისეთ საშუალად, რომელიც ყველაფერს განკურნავს. სოდის აბაზანები წარმოადგენენ მხოლოდ მცირე ნაწილს ღონისძიებათა იმ კომპლექსში, რომლებიც ჩვენში ხორციელდება ხალხის ჯანმრთელობის პროფილაქტიკისა და დაცვის დარგში, მაგრამ დაბერების ბუნებაზე თანამედროვე წარმოდგენათა ერთობლიობაში ჩვენი გამოკვლევები ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთ ყველაზე არსებითს დეტალს ეხება, ხოლო ნივთიერებათა ცვლა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმის ნორმალურ მუშაობაში.

„ლენინგრადსკაია პრავდა“

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვება

ციურიხი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა საჭადრაკო მატჩ-ტურნირის უკანასკნელ ტურში ხუთი საათის შემდეგ ფრედ დამთავრდა ხუთი პარტია: პეტროსიანსმისლოვის, გლიგორიჩ-ბრონშტეინის, ნაიდორფ-კერესის, ტალმანოვ-რეშევსკისა და ავერბახ-გელერის პარტიები.

ბოლესლავსკიმ პარტია ეივეს წინააღმდეგ გადადო ისეთი პოზიციით, სადაც მას ზედმეტი პაიკი აქვს. საბის პოზიციური უპირატესობა აქვს დაბოლოებაში კოტოვის წინააღმდეგ. ამ პარტიებს გაითამაშებენ 24 ოქტომბერს.

ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში გარკვეულია მხოლოდ პირველი ხუთი ადგილი: პირველ ადგილზე გამოვიდა სმისლოვი (სსრ კავშირი), რომელსაც აქვს 18 ქულა, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს: ბრონშტეინმა (სსრ კავშირი), კერესმა (სსრ კავშირი) და რეშევსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელთაგან თვითეულს 16 ქულა აქვს, მეხუთე ადგილზეა პეტროსიანი (სსრ კავშირი) — 15 ქულა.

საერთაშორისო გროსმაისტერი
ვ. ვ. სმისლოვი.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში.

1954 წლიდან დაწყებული შემოღებულ იქნება მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების დიფერენცირებული განაკვეთები ზონების მიხედვით, კოლმეურნეობებში მათ მიერ შესრულებულ სამუშაო სახეობათა მიხედვით, ამასთან გამოყენებულ იქნება წამახალისებელი პრემიალური ანაზღაურება უხვი მოსავლისათვის. ამ ღონისძიების გატარება ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაადიდებლად, არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად და განსამტკიცებლად.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვითა და ხელმძღვანელობით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გაიზარდნენ როგორც მსხვილი სოციალისტური, სახელმწიფო საწარმოები. მათი მართვა მოითხოვს თეორიულად და პრაქტიკულად კარგად მომზადებულ, კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც შეეძლებათ ფართოდ დანერგონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. კომუნისტური პარტიის პლენუმმა დააყენა ამოცანა, რომ განმტკიცებულ იქნას თვითეული მანქანა-ტრაქტორთა სადგური კვალიფიციური კადრებით, უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით. კომუნისტური პარტიის ამ მოწოდებაზე მთელ ქვეყანაში გაიშალა პატრიოტული მოძრაობა დაწესებულებებიდან ინჟინერ-ტექნიკოსთა, აგრონომთა და სხვა სპეციალისტთა წასასვლელად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და კოლმეურნეობებში მუდმივად სამუშაოდ. ამ მოძრაობამ ბრწყინვალედ დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში უზრუნველყოფილ იქნება საქმის წარმატება — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვის შექმნა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის უზრუნველყოფა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის ამაღლება, მიწათმოქმედების საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ. მტს-ებმა უნდა დაამთავრონ მინდვრის სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გააჩაღონ მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიისა და მის მიერ სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკით მომარაგების ზრდის შედეგად პრაქტიკულად დადგა საკითხი მინდვრის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დასამთავრებლად, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ გასაშლელად. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ შრომის მექანიზაცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და, კერძოდ, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. მექანიზაციის გაძლიერება მეცხოველეობაში ამ დარგის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, მისი რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდის დიდი საშუალებაა. ამასთან ერთად გიგანტური ძალით გაიშლება შრომის მექანიზაცია უახლოეს დროში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. ამას მოწმობს შემდეგი მაჩვენებელი: თუ 1952 წელს მტს-ების ძალებით დათესილი იყო კარტოფილის მთელი ფართობის მხოლოდ 14 პროცენტი, 1954 წელს იგი გაიზრდება 40-65 პროცენტამდე.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობები დიდ საწარმოო შესაძლებლობას მოიცავენ. ამ სოციალისტური საწარმოების შესაძლებლობათა და წარმოების საშუალებათა სრულად, რაციონალურად გამოყენება, შრომის ორგანიზაციის ამაღლება და განმტკიცება, კოლმეურნე გლეხობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა განამტკიცებენ საკოლმეურნეო წარმოებას, განაპირობებენ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პრინციპის მიხედვით.

III.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობამ და კერძოდ მისმა მრავალფეროვანმა და მაღალტექნიკურმა სოფლის მეურნეობამ დიდ წარმატებას მიაღწია.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს სახალხო მეურნეობა და მათ შორის სოფლის მეურნეობა ძლიერ ჩამორჩენილი იყო. სოფლის მეურნეობის ენერგეტიკის თითქმის ერთადერთ სახეს ცოცხალი გამწევი ძალა წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობა მომარაგებულ იქნა პირველხარისხოვანი იარაღ-მანქანებით. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობამ მიიღო 2.900 ტრაქტორი 15-ძალიანზე გადაყვანით, 800 კომბაინი, 1.600 გუთანი. ამჟამად რესპუბლიკაში 104 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, მათ შორის — სამი მეცხოველეობისა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში უახლესი ტექნიკის დანერგვასთან ერთად მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა დიდად აამაღლეს კოლმეურნეობათა ტექნიკურ-კულტურული დონე. მოწინავე მექანიზატორები წარმატებით იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და პირნათლად ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. კომბაინერი ს. რამაზაშვილი წელს ყოველდღიურად საშუალოდ 25 ჰექტარს მკიდა, კომბაინერ მ. ლაზარიაშვილის აგრეგატის კოლექტივმა 650 ჰექტარზე აიღო მოსავალი 20 დღეში და ა. შ.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებამ უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაზე. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზებულია მთელი ხვნა და თესვა. ძირითადად მექანიზებულია მოსავლის აღება. მექანიზაციის ზრდისა და მანქანების ეფექტიანად გამოყენების შედე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე საკითხზე საერთო კამათში გამოვიდა ეგვიპტის წარმომადგენელი. მრავალრა კომიტეტს ის ხელშეკრულებანი, რომელთა საფუძველზე დაწესდა საფრანგეთის პროტექტორატი ტუნისისადმი, ეგვიპტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობისა და ფრანგ ხელისუფალთა მთელი შემდგომი პოლიტიკა ემსახურებოდა იმას, რომ ტუნისი, რომელიც ხელშეკრულებათა თანახმად საფრანგეთის დროებითი პროტექტორატია, მეთოდურად გადაქცეულიყო საფრანგეთის კოლონიად, შეექმნათ და გაეძლიერებინათ ფრანგი კაპიტალისტებისათვის პრივილეგიები და უპირატესობანი. მთელი რიგი რეფორმების განხორციელების გზით განაცხადა ეგვიპტის დელეგატმა, საფრანგეთის მთავრობამ ტუნისში განამტკიცა ბატონობა ფრანგი კოლონისტებისა, რომლებიც ტუნისის ბატონ-პატრონები გახდნენ.

ტუნისის მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, განაგრძო ეგვიპტის წარმომადგენელმა, საფრანგეთის ადმინისტრაცია ძალადობით უპასუხებდა. დაახასიათა რა მდგომარეობა, რომელიც ტუნისში 1950 წლის შემდეგ შეიქმნა, ეგვიპტის დელეგატმა განაცხადა, რომ ამჟამად ტუნისელი ხალხის ათასობით წარმომადგენელი მოთავსებულია საპყრობილეებში მათი პოლიტიკური რწმენისა და უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ მათ გაბედეს მოეთხოვათ ტუნისისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. ტუნისში, განაცხადა მან, გაბატონებულია პოლიციისა და სამხედრო სასამართლოების თვითნებობა. თვითნებურად განმარტავენ რა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსს, პოლიცია და სამხედრო სასამართლოები სასტიკად უსწორებენ ანგარიშს იმათაც კი, ვინც გაბედავს სიტყვა „დამოუკიდებლობის“ წარმოთქმას. ეგვიპტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუკეთესო მიწები ტუნისში ფრანგმა კოლონისტებმა დაიტაცეს. ამ მიწებზე მომუშავე სოფლის მეურნეობის მუშები მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ და სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიან. არ არის შრომის დაცვა. ტუნისის მკვიდრი მოსახლეობის უმრავლესობას სისტემატურად აკლია საზრდო. სანიტარული პირობები ცუდია. ტუნისში ამჟამად 150 ათას კაცზე მოდის მხოლოდ ერთი ექიმი, მოსახლეობის 30-40 პროცენტი დაავადებულია ტრაქომით. მოსახლეობის 87 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. მკვიდრ მოსახლეობიდან დაწყებითს სკოლაში სასკოლო ასაკის 8 ბავშვში მხოლოდ ერთი სწავლობს, ხოლო 45 ტუნისელ ბავშვში მხოლოდ ერთი სწავლობს საშუალო სკოლაში. ტუნისში გამეფებულია შიმშილი და სიღატაკე. ეს ტუნისში ფრანგთა მმართველობის შედეგები. ტუნისის ეკონომიკას ნამდვილი კოლონიური ხასიათი აქვს: გაავქთ ნედლეული და შეაქთ ფაბრიკატები.

ეგვიპტის წარმომადგენელმა ცხადყო, რომ საფრანგეთის 12 კოლონიის ხელშია ტუნისის ყველა ძსხვილი სამრეწველო საწარმო. საფრანგეთის მთავარი მიზანი ტუნისში, განაცხადა ეგვიპტის წარმომადგენელმა, ის არის, რომ ტუნისი შეინარჩუნოს როგორც კოლონია და ამ ქვეყანაში კვლავ დიდი მოგება მიიღოს. დასასრულ ეგვიპტის წარმომადგენელმა ილაპარაკა იმ დაძაბულ მდგომარეობაზე, რომელიც ამჟამად ტუნისში შეიქმნა ფრანგ ხელისუფალთა მოქმედების შედეგად.

პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა ტუნისის საკითხის განხილვა.

ინდოეთის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჩანდამ ცხადყო, რომ საფრანგეთი სისტემატურად არღვევდა იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც მან ტუნისთან დადო, და ტუნისი თავის კოლონიად გადაქცია.

ინდოეთის წარმომადგენელმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ საფრანგეთის ხელისუფლები ტუნისში სჩადიან თვითნებობას, და ილაპარაკა მათ მიერ ტუნისში დამყარებული რეჟიმის ხასიათზე.

ტუნისის პრობლემა, განაცხადა ინდოეთის წარმომადგენელმა, უნდა გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იმ მიზნების შესაბამისად, რომლებიც მის წესდებაშია ჩამოყალიბებული. თუ ეს არ მოხდა, თქვა ჩანდამ, ტუნისელი ხალხი მიეკარნა იქნება სასოწარკვეთილებამდე, ეს კი, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, საფრთხის მომასწავებელია. ინდოეთის წარმომადგენელმა თქვა, რომ, მისი აზრით, საფრანგეთისათვის კიდევ არ არის გვიან შეცვალოს თავისი პოლიტიკა ტუნისში. ინდოეთის წარმომადგენელმა თავისი გამოსვლის დასასრულს პოლიტიკურ კომიტეტს თავისი დელეგაციის სახელით, აგრეთვე ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, ინდონეზიის, ერაყის, ირანის, იემენის, ლიბანის, პაკისტანის, საუდის არაბეთის, სირიისა და ფილიპინების დელეგაციების სახელით განსახილველად შეტანა რეზოლუციის პროექტი ტუნისის საკითხზე. არაბთა და აზიის 13 ქვეყნის ამ პროექტის დეკლარაციულ ნაწილში მოთხოვნილია, რომ გენერალურმა ასამბლეამ გამოთქვას სურვილი „შეიქმნას პირობები, რომლებიც საშერია საფრანგეთსა და ტუნისს შორის ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად, ურთიერთობისა, რომელიც დამყარებული იქნება ბანიხლოს ტუნისის საკითხი საფრანგეთსა და ტუნისს შორის დადებულ ხელშეკრულებათა საერთაშორისო ხასიათის გამო.

ბერეცკის განაცხადა, რომ ტუნისის საკითხი უნდა გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, რათა შენელდეს დაძაბულობა ამ რაიონში და მთელ მსოფლიოში. მან მხარი დაუჭირა არაბთა და აზიის ცამეტი ქვეყნის პროექტს და აღნიშნა, რომ ეს პროექტი შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს.

ხპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელი დღის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის საკითხზე.

პაკისტანის, ინდოეთის, ფილიპინების, გვატემალის, ბირმის, ლიბერიისა და ურუგვაის წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა, რასაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ინდური წარმოშობის პირთა მიმართ ახორციელებს. ყველა ისინი აღნიშნავდნენ, რომ გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში შედის განხილოს ეს საკითხი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებანი, რადგან ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა მარტო იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევას, რომლებიც დადებულია ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკის კავშირს შორის, არამედ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებათა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის უხეშ დარღვევას. ამ ქვეყნების დელეგატებმა მხარი დაუჭირეს 17 ქვეყნის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტს.

ინგლისის წარმომადგენელმა, რომელიც ცდილობდა დაეტყვიებინა, თითქოს გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში არ შედის სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხის განხილვა, განაცხადა, რომ მისი დელეგაცია თავს შეიკავებს 17 ქვეყნის სახელით ინდოეთის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტის კენჭისყრაში.

საფრანგეთის ჯარის ახალი ნაწილების გადაყვანა ინდოჩინეთში

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტის კორესპონდენტი სანოიდან იუწყება, დღეს ხაიფონში ჩავიდა მაროკოს მეხუთე ქვეითი პოლკი, რომელიც აქამდე გერმანიაში იმყოფებოდა, უახლოეს დროში მოელიან სხვა პოლკების ჩასვლას.

რამდენიმე კვირის შემდეგ იქ კორეიდან ჩავა საფრანგეთის ბატალიონი, რომელიც იქნება ახალ „კორეის პოლკის“ ხერხემალი.

საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის ნასვლა ბულგარეთიდან

სოფია, 23 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის ნავსადგურ სტალინიდან წავიდა საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი ვიცეადმირალ ვ. ა. პარხომენკოს სარდლობით, რომელიც აქ იყო მეგობრობის ვიზიტით.

საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა ჩინეთში

პეკინი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გრძელდება საბჭოთა ტამბოვარჯიშეების გამოსვლები. პეკინში, მუკდენსა და ტიანძინში გამოსვლის შემდეგ საბჭოთა სპორტის ოსტატები იყვნენ ნანკინში, შანხაისა და კანტონში. გამოსვლა წარმოიგებს ღია ცის ქვეშ. ყოველ გამოსვლას ესწრება 30-70 ათასი მაყურებელი. ყველა ჩინური გაზეთი ბეჭდავს აღფრთოვანებულ აზრს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის შესახებ.

მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები ბულგარეთში

სოფია, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ორ კვირაზე მეტია, რაც ბულგარეთში სტუმრად არის მოსკოვის მოსკოვის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრი.

თეატრმა წარმოდგენები გამართა პლოვდივში, გაბროვოში, სტალინში, ტოლბუხინში, ბურგასში. მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის სპექტაკლებს „ქარიშხალს“, „განთიადს მოსკოვში“, „ლიმაზ მამაკაცს“, „სასეირო შემთხვევას“, „მასკარად“ მოდამ წარმატება აქვს ბულგარელ მაყურებელთა შორის.

თეატრის მსახიობებმა გამართეს აგრეთვე ბევრი კონცერტი ფაბრიკა-ქარხნებში.

ვარშავაში ჩავიდა მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრი

ვარშავა, 23 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცების ერთთვიურში მონაწილეობისათვის ვარშავაში ჩამოვიდა მოსკოვის ევგ. ვახტანგოვის სახელობის თეატრის კოლექტივი.

თეატრი პოლონელ მაყურებელს უჩვენებს სპექტაკლებს: „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“, „ჭალარა ქალაშვილი“, „დიდი ხმაური არაფრისათვის“, „პარტიის კანდიდატი“ და სხვ. თეატრი წარმოდგენებს გამართავს პოლონეთის დედაქალაქში და პოლონეთის სხვა ქალაქებში.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ შეწყვიტა მაკარტის მაქინაციების გამოძიება

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). სანფრანცისკოდან მიღებული პრესის ცნობებით, სენატორმა მონრონიმ (დემოკრატიული პარტია) აწყვეტდ გააკრიტიკა იუსტიციის მინისტრი ბრაუნელი იმ გადაწყვეტილებისათვის, რომ შეწყვიტოს სენატორ მაკარტის საქმის გამოძიება. სენატორმა მაკარტიმ დაიოლა საარჩევნო კანონები და დიდი თანხები მიიღო საქმისნებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან სენატის იმ კომისიების მიერ კანონპროექტების მიღებით, რომელთა წევრიც მაკარტია. ბრაუნელის მიერ მაკარტის რეაბილიტაცია, თქვა მონრონიმ, „ჩვენი პოლიტიკური ეთიკის მორალური დაცემის ახალი დადასტურებაა“.

გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება მაკარტის საქმეზე მკვეთრად განსხვავდება სამინისტროს პოზიციისაგან „ნაკლებ გამოჩენილ მოქალაქეთა“ საქმეების გარჩევისას. გაზეთის აზრით, „განაჩენი მაკარტის, ბოლოს და ბოლოს, ამერიკელმა ხალხმა უნდა გამოუტანოს“.

თბილისი

შოკოლადის ფაბრიკაში

თბილისის შოკოლადის ფაბრიკის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩამბმულია თბილისის № 1 საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივთან.

ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის და ვალის გადამეტებით მისცეს სახელმწიფოს ათობით ტონა შოკოლადის ნაწარმი.

ფაბრიკა უშვებს 60 სახეობის შოკოლადს. ოქტომბრის დღესასწაულებისათვის ფაბრიკამ აითვისა ახალი სახეობის შოკოლადი — „ოქროს შემოდგომა“, „ქარიშხალა“ და სხვ.

ფაბრიკა თავის ნაწარმს გზავნის აზერბაიჯანში, სომხეთში, როსტოვის ოლქში და სხვ.

მე-4 კვარტალში ფაბრიკას ემატება ახალი კორპუსი, რომელშიც მოთავსებული იქნება კაფეტის მექანიზებული შემხვევი საამქრო და კამფეტ-შოკოლადის ლაბორატორია.

სურაბოზე (წინა პლანზე) შოკოლადის შემხვევი ა. სლანიშვილი ახვევს შოკოლადს.

ტექსტი და ფოტო **გ. ვახტანგაძისა.**

ხილის წვენი

რესპუბლიკის ფარგლებს იქითაც განთქმულია თბილისის „ხილბოსტანეაბრობის“ ხილის წვენის ქარხნის პროდუქცია. აქ ამუშავებენ როგორც კულტურულ ხილს, ისე გარეულსაც. ტყის შინდი, პანტა, მაყალო და სხვ. მაღალი ხარისხისა და საუკეთესო გემოს წვენს იძლევიან.

მიმდინარე წელს ქარხანამ გამოუშვა 573 ტონა — 4 მილიონზე მეტი მანეთის ხილის წვენი. აქედან ქარხანამ 316 ტონა გაუგზავნა მოსკოვს, როსტოვის, ორაიოლის, ოდესის, ხარკოვის, კიევის, ნოვოსიბირსკის, ვლადივოსტოკისა და სხვა ქალაქების საწარმოებს.

წარმოების გაფართოების მიზნით განზრახულია ხილის წვენის ახალი ქარხნის აშენება, რისთვისაც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ღრმაღელში ქარხნის ახალი შენობის მშენებლობისათვის გამოჰყო მიწის ნაკვეთი. ქარხნის მშენებლობა უახლოეს ხანში დაიწყება.

„კოლმეურნის“ საკავშირო პირველობა

თბილისში დამთავრდა ზონალური შეჯიბრება ფეხბურთში ნებაყოფლობითი სასოფლო საპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ პირველობაზე.

უკანასკნელი ასპარეზობა გაიმართა უკრაინისა და აზერბაიჯანის, აგრეთვე მოლდავეთისა და სომხეთის გუნდებს შორის. პირველი შეხვედრა მოიგეს უკრაინელებმა ანგარიშით 4:0, მეორე შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 3:3.

ამრიგად, გასული წლის ჩემპიონმა — უკრაინის ფეხბურთელთა კოლექტივმა 4 შეხვედრიდან ოთხივე მოიგო და 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. უკრაინის გუნდი მონაწილეობას მიიღებს „კოლმეურნის“ საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე საქართველოს გუნდმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს ჩემპიონები ფრენბურთში

თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ფრენბურთში საქართველოს 1953 წლის პირველობაზე.

ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ სასპორტო საზოგადოებების „ნაუკისა“ და „დინამოს“ თბილისის ფრენბურთელთა კოლექტივები. ამ გუნდების შეხვედრა დამთავრდა „ნაუკის“ ფრენბურთელთა გამარჯვებით 3:0, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამოს“ გუნდი, მესამეზე — „მედიკი“.

ფრენბურთელ ვაჟთა კოლექტივებს შორის ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და „ლოკომოტივის“ გუნდებმა. ამ გუნდების შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით ანგარიშით 3:2. თბილისის „ლოკომოტივის“ ფრენბურთელთა კოლექტივმა საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა, მესამე — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელთა კოლექტივმა.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

ოპერისა და ბალეტის თეატრი

25 ოქტომბერს	დღის 12 საათზე ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი** საღამოს ზ. ფალიაშვილი— **აბესალომ და ეთერი**
27 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

25 ოქტომბერს

ჩინეთის და კორეის, საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოხატოვარი გასტროლები

და დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ

კვირაობით დღის ორი სანახავი — I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სანახავის სალაროებში.

ქალაქის ელექტრონული ინფორმაცია

დედაქალაქის ამბები

თბილისის გამწვანების ტრესტი შეუდგა საშემოდგომო სამუშაოების შესრულებას.

მარტყოფის ახალ პარკში, სადაც უკვე დაწყებულია საშემოდგომო მუშაობა, წელს დარგავენ 13.000 ხესა და ბუჩქს. ათასობით ხე და ბუჩქი დაირგვება მთაწმინდის ფერდობებზე, მახათას მთაზე, კომკავშირის ხეივანში, ლისის ტბაზე. მწვანე ნარგავებით შეივსება დელისის სანერგის ქარსაცავები. აქ დაირგვება 4.500 ხე და ბუჩქი. კვლავ შეივსება მცენარეებით ქალაქის პარკებისა და ბაღების მასივები. ახალი გაზონები კეთდება ლენინის ქუჩაზე, პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტებზე, უნივერსიტეტის, საბჭოს, ბარათაშვილის, ჯორჯიაშვილის, ჩელიუსკინელებისა და თბილისის სხვა ქუჩების თავისუფალ ადგილებზე.

ამ შემოდგომაზე თბილისში დაირგვება 80.000-ზე მეტი ხე და ბუჩქი.

საქართველოს ჩემპიონები ფრენბურთში

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ინგლისელ ხალხს ამერიკელი ჯარისკაცის დანახვაც არა სურს“

ამერიკელთა თვითნებობის წინააღმდეგ სულ უფრო გაბედულად აცხადებს პროტესტს ინგლისელი ხალხი. ამაყი ინგლისელის ბუნება ვერ ეგუება დაუპატიჟებელი სტუმრისადმი მორჩილებას. ამ ნიადაგზე შემუშავდა სიძულვილის გრძნობა. ამას წინათ ინგლისელმა მაყურებლებმა თავი ვერ შეიკავეს და დაუსტვინეს ამერიკელ მსახიობებს — მარტინსა და ლიუისს, რითაც ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ამ ინციდენტმა აღაშფოთა ამერიკის ბურჟუაზიული პრესა. გაზეთი „დეილი მირორი“ ინგლისელ ხალხს კიცხავს „ანტიამერიკანიზმის უმსგავსო კამპანიის“ გაჩაღებისათვის. ამერიკელი მსახიობებისათვის დასტვენა მას ამერიკული პოლიტიკის აბუჩად აგდების გამოხატულებად მიაჩნია.

შარშან ამერიკელმა მფრინავმა რობერტ ბენტლიმ ინგლისში ჩხუბი აუტეხა ტაქსის მძღოლს, უნდოდა მოეკლა იგი. მაგრამ შოფერმა ივაყვანა, მთვრალი მფრინავი განაიარაღა და კარგადაც „გაუმასპინძლდა“. მიმდინარე წლის 21 ივლისს „ლონდონის გაზეთში“ გამოქვეყნდა მეფის ბრძანებულება ზემოთ აღნიშნული ტაქსის მძღოლის ბრიტანეთის იმპერიის მედლით დაჯილდოების შესახებ.

ამას წინათ ევროპაში იმოგზაურა „ნიუს უიკის“ სარედაქციო ბიუროს თავმჯდომარემ, რეაქციონერმა მალკოლმ მიუირიმ. დაბრუნების შემდეგ მან განაცხადა: „თუმცა არასასიამოვნოა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი საზღვარგარეთ ასე შელახული არასოდეს არ ყოფილა ომის დამთავრების შემდეგ“... ევროპის ხალხებს „აღარ სურთ ბრმად მისდიონ ვაშინგტონის პოლიტიკას“.

ოდესღაც ამერიკელ მონოპოლისტებს საამაყოდ მიაჩნდათ, რომ ატომური იარაღის მონოპოლისტები იყვნენ, მაგრამ მათ დიდი ხანია დაკარგეს ეს მონოპოლია. შემდეგ ისინი წყალბადის ბომბით აშინებდნენ კაცობრიობას, ფიქრობდნენ, ამ მონოპოლიას ვერავინ წაგვართმევსო, მაგრამ ეს ნუგეშიც დაკარგეს. წინათ შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნები თაყვანს სცემდნენ ამერიკულ დოლარებს, ახლა ამერიკული დოლარი უპატივცემლობისა და სიძულვილის სიმბოლო გახდა. ამერიკელ მონოპოლისტებს ჰყავდათ პარტნიორები, რომლებსაც ისინი ენდობოდნენ. ახლა ისინიც ხელიდან ეცლებიან. ყველგან გაისმის ცნობილი მიმართვა:

— „ამი, გოუ ჰოუმ!“

ა. ჩავლეიშვილი.

ამერიკელ ჯარისკაცებს „ვაკაციაზე“

ამერიკელი ჯარისკაცები დაიქანცნენ უპერსპექტივო ომში. მოენატრათ მშვიდობიანი ცხოვრება. ისინი თავს არიდებდნენ საბრძოლო დავალებათა შესრულებას. პირველ მოტორიზებულ დივიზიაში ორი თვის განმავლობაში „სიმხდალის გამოჩენის“ 150 შემთხვევა იყო. მრავალი ამერიკელი ჯარისკაცი მიმართავდა თვითდაპრას იმისათვის, რომ ბრძოლის ველზე აღარ გაეყვანათ.

საკითხავია, რა იყო ამის მიზეზი? ამის მიზეზი იყო მათი არა მტკიცე მორალური მდგომარეობა: ისინი უსამართლო, უპერსპექტივო, დაპყრობით ომს ეწეოდნენ. ამერიკელი ჯარისკაცების სიმხდალემ დიდად შეაშფოთა ვაშინგტონის ცათამბრჯენებში მოკალთებული სამხედრო „თეორეტიკოსები“. გადამდგარი პოლკოვნიკი ანტონ სტენდიში, მაგალითად, წერდა, რომ ამერიკელმა ჯარისკაცებმა ამ ომში თავი შეირცხვინეს. ოფიცერთა ყველა ღონისძიების მიუხედავად, ჯარისკაცების დაახლოებით 50 პროცენტი ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა. ჯარისკაცებს არ ჰყოფნიდათ ნებისყოფა და გამბედაობა. ეს „სიმამაცის კრიზისია“. სტენდიშის აზრით, ამის მიზეზია ოჯახებში ბავშვების აღზრდის არასწორი სისტემა. მთელი უბედურება თურმე ის ყოფილა, რომ ბავშვების მიმართ ქალები მეტისმეტად „სათუთ გრძნობებს“ ამჟღავნებენ, ხოლო მამაკაცები ვერ ახდენენ სათანადო „ზემოქმედებას“.

ამერიკელ ჯარისკაცებში გავრცელებული „სიმამაცის კრიზისით“ შეშფოთებული არიან არა მარტო ამერიკელი სამხედრო „სპეციალისტები“, არამედ „ომობანას“ თამაშის მოყვარული სამოქალაქო პირებიც. ამას მოწმობს ვინმე დევიდსონის სტატია, რომელიც ჟურნალ „ოლიერსში“ გამოქვეყნდა. დევიდსონის აზრით, ამერიკელ ჯარისკაცთა პასიურობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები ვერ გახდნენ „ნამდვილი მკვლელები“. ამრიგად, დევიდსონის შეხედულება არ განსხვავდება სტენდიშის შეხედულებისაგან. აქაც მკვლელების აღზრდაზეა ლაპარაკი.

სამედნიეროდ, ამერიკელი ხალხი ასე როდი ფიქრობს. იგი გაბედულად ილაშქრებდა კორეაში გაჩაღებული აგრესიული ომის წინააღმდეგ. შეძრწუნებული იყო ომის წარმოების არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, გმობდა ამერიკელი განგსტერების ბარბაროსულ მოქმედებას. ამერიკელ ხალხს მშვიდობა სურს. ამერიკელი დედების მისწრაფებაა ჩაუნერგონ ბავშვებს სათნოება და მშვიდობიანი შრომის სიყვარული.

ბურჟუაზიული გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნიც“ კი შენიშნავს, რომ პოლკოვნიკ სტენდიშს, როგორც ჩანს, სურს საქმე დაიწყოს აკვნების გაძარცვითა და ამერიკელი ბავშვებისათვის სპარტანული სამხედრო აღზრდის შემოღებით, რაც იმას გამოიწვევს, რომ სახლები გადაიქცევიან ჯაზარმებად, ხოლო დედები — ჯოხით მეწრთნელ სერჟანტებად.

ამერიკელ ხალხს არა სურს, რომ მომავალ თაობას „სერჟანტი დედები“ ზრდიდნენ.

2. „ამი, გოუ ჰოუმ!“

ამბობენ, რომელიღაც ცნობისმოყვარე ამერიკელს დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში სამი წლის ბავშვისათვის უკითხავს: ლაპარაკობს თუ არა ინგლისურ ენაზე?

— დიახ, უპასუხა ბავშვმა და რწმენით წარმოთქვა:

— „ამი, გოუ ჰოუმ!“ (იანკებო, შინ წადით!).

ეს სიტყვები ახლა იმდენად გავრცელებულია, რომ მას გაიგონებთ არა მარტო დასავლეთ ევროპის მარწყვიზებულ ქვეყნებში, არამედ ყველგან, სადაც ამერიკელი ჯარისკაცები არიან განლაგებული, ასეთი ქვეყნების რიცხვი კი ოთხ ათეულს აღემატება.

ამერიკელმა რეაქციონერებმა უცხო ქვეყნებში განლაგებულ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს შეუმუშავეს ყალბი რწმენა, თითქოს ისინი მოწოდებული არიან იბატონონ სხვა ერებზე. ამით აიხსნება, რომ იანკებს იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში, ჰოლანდიასა და ბელგიაში, საფრანგეთსა და ინგლისში, დანიასა და იაპონიაში, ყველგან, სადაც კი იმყოფებიან, თავი ბატონკაცურად უჭირავთ, განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ, ადგილობრივ მცხოვრებთ აბუჩად იგდებენ.

ასეთი ქცევით ამერიკელმა დამპყრობლებმა ხალხებს თავი შეაძულეს. შეილახა მათი ავტორიტეტი. ბევრგან გაბედულად და ორგანიზებულად ილაშქრებენ ამერიკელთა თვითნებობის წინააღმდეგ.

როცა ამერიკელმა მოძალადეებმა სცადეს იაპონიის პატარა კუნძულ ოსიმაზე სამხედრო ნაგებობა დაედგათ, გლეხებმა მათ გზა გადაუღობეს, ხოლო იაპონიის პოლიციას ხელი არ შეუშლია მოსახლეობისათვის. ცნობილია სოფელ უცინადის მცხოვრებთა გაბედული ბრძოლა ამერიკელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

ინგლისის პრესის ცნობით, მიმართავა — „ამეკო კაერე!“ (იანკებო, შინ წადით!) იაპონიაში ისე გავრცელდა, რომ მას მივარდნილ სოფლებშიც კი გაიგონებთ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი რესტონი წერს, რომ „იაპონელ ხალხს ამერიკელი ჯარისკაცის დანახვაც არა სურს“.

ამერიკელთა თვითნებობის წინააღმდეგ სულ უფრო გაბედულად აცხადებს პროტესტს ინგლისელი ხალხი. ამაყი ინგლისელის ბუნება ვერ ეგუება დაუპატიჟებელი სტუმრისადმი მორჩილებას. ამ ნიადაგზე შემუშავდა სიძულვილის გრძნობა. ამას წინათ ინგლისელმა მაყურებლებმა თავი ვერ შეიკავეს და დაუსტვინეს ამერიკელ მსახიობებს — მარტინსა და ლიუისს, რითაც ისინი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

ამ ინციდენტმა აღაშფოთა ამერიკის ბურჟუაზიული პრესა. გაზეთი „დეილი მირორი“ ინგლისელ ხალხს კიცხავს „ანტიამერიკანიზმის უმსგავსო კამპანიის“ გაჩაღებისათვის. ამერიკელი მსახიობებისათვის დასტვენა მას ამერიკული პოლიტიკის აბუჩად აგდების გამოხატულებად მიაჩნია.

შარშან ამერიკელმა მფრინავმა რობერტ ბენტლიმ ინგლისში ჩხუბი აუტეხა ტაქსის მძღოლს, უნდოდა მოეკლა იგი. მაგრამ შოფერმა ივაყვანა, მთვრალი მფრინავი განაიარაღა და კარგადაც „გაუმასპინძლდა“. მიმდინარე წლის 21 ივლისს „ლონდონის გაზეთში“ გამოქვეყნდა მეფის ბრძანებულება ზემოთ აღნიშნული ტაქსის მძღოლის ბრიტანეთის იმპერიის მედლით დაჯილდოების შესახებ.

ამას წინათ ევროპაში იმოგზაურა „ნიუს უიკის“ სარედაქციო ბიუროს თავმჯდომარემ, რეაქციონერმა მალკოლმ მიუირიმ. დაბრუნების შემდეგ მან განაცხადა: „თუმცა არასასიამოვნოა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავტორიტეტი საზღვარგარეთ ასე შელახული არასოდეს არ ყოფილა ომის დამთავრების შემდეგ“... ევროპის ხალხებს „აღარ სურთ ბრმად მისდიონ ვაშინგტონის პოლიტიკას“.

ოდესღაც ამერიკელ მონოპოლისტებს საამაყოდ მიაჩნდათ, რომ ატომური იარაღის მონოპოლისტები იყვნენ, მაგრამ მათ დიდი ხანია დაკარგეს ეს მონოპოლია. შემდეგ ისინი წყალბადის ბომბით აშინებდნენ კაცობრიობას, ფიქრობდნენ, ამ მონოპოლიას ვერავინ წაგვართმევსო, მაგრამ ეს ნუგეშიც დაკარგეს. წინათ შეერთებული შტატების სატელიტი ქვეყნები თაყვანს სცემდნენ ამერიკულ დოლარებს, ახლა ამერიკული დოლარი უპატივცემლობისა და სიძულვილის სიმბოლო გახდა. ამერიკელ მონოპოლისტებს ჰყავდათ პარტნიორები, რომლებსაც ისინი ენდობოდნენ. ახლა ისინიც ხელიდან ეცლებიან. ყველგან გაისმის ცნობილი მიმართვა:

— „ამი, გოუ ჰოუმ!“

ა. ჩავლეიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

25 ოქტომბერს	დღის 12 საათზე ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი** საღამოს ზ. ფალიაშვილი— **აბესალომ და ეთერი**
27 ოქტომბერს	ჯ. ვერდი — **რიგოლეტო**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

25 ოქტომბერს

ჩინეთის და კორეის, საბჭოთა ცირკის მსახიობების გამოხატოვარი გასტროლები

და დიდი საცირკო პროგრამა

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ

კვირაობით დღის ორი სანახავი — I—12 ს., II—3 ს. ბილეთები იყიდება სანახავის სალაროებში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ